



**კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის
სამეცნიერო საბჭოს
დებულება**

თავი I. ზოგადი დებულებები

- 1.1. კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის სამეცნიერო საბჭო (შემდგომში საბჭო) შექმნილია კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წესდების მეორე მუხლის შესაბამისად.
- 1.2 საბჭოს დებულებას ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს და მასში ცვლილებების განხორციელების უფლება აქვს ასოციაციის პრეზიდენტს.
- 1.3. საბჭო შედგება აკადემიური კვალიფიკაციის მქონე კომპეტენტური მეცნიერებისგან.
- 1.4. საბჭოში მოქმედებს სამუშაო ჯგუფები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების, სპეციალიზაციის მიხედვით: ბიზნესის ადმინისტრირება; განათლება; ინჟინერია; მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; სამართალი; სოციალური მეცნიერებები; ჯანდაცვა; ჰუმანიტარული მეცნიერებები; მიმართულებათ-შორისი დარგები ან სპეციალობები.
- 1.4ა. საბჭოში მოქმედებს სამუშაო ჯგუფები განათლების საფეხურების მიხედვით: სკოლამდელი განათლების საფეხური; უმაღლესი განათლების საფეხური; ზოგადი განათლების საფეხური; პროფესიული განათლების საფეხური.
- 1.5. საბჭოს წევრთა შემადგენლობას აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ბრძანებით ნიშნავს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პრეზიდენტი.

1.6. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წესდების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

თავი II. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები

2.1. საბჭოს საქმიანობის მიზანია:

რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება უმაღლეს სასწავლებლებში, და ზოგადად განათლების სფეროში, აკადემიური ხარისხის მაღალი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების, გავრცელების და მუდმივი განვითარებისთვის, ამ საქმეში საბჭოს წევრების ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა.

2.2. საბჭოს ამოცანებია:

2.2.1. ინტელექტუალური და პროფესიული საქმიანობა, რათა საქართველოს კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, და ზოგადად განათლების კერძო სექტორში, მიღწეულ იქნას მაღალი დონის, ცოდნაზე დაფუძნებული აკადემიური განათლების მუდმივ ურთიერთგანვითარებასა და ურთიერთგამდობაზე ორიენტირებული გარემო. ამისთვის შესაბამისი ანალიტიკური საქმიანობის უზრუნველყოფა, რეალური ვითარების ადეკვატური შეფასებებისა და დასკვნების მომზადება, მონაწილეობა კვლევით, ანალიტიკურ, სტრატეგიულ, ბიზნეს და სამართლებრივი რეგულაციების პროექტების შემუშავებაში.

2.2.3. საბჭოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობამ შეიძლება მოიცვას:

2.2.3.ა. უახლესი და პერსპექტიული საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კვლევა საერთაშორისო დონეზე და მასთან ინკორპორირება და გავრცელება პილოტირების მიზნით ასოციაციის წევრ უნივერსიტეტებში.

2.2.3.ბ. იდეების გენერირება და მეთოდური მასალების მომზადება განახლებული საუნივერსიტეტო განვითარების სტრატეგიისთვის შემუშავებისთვის.

2.2.3.გ. რეცენზიებისა და რეკომენდაციების მომზადება უცხოური საუკეთესო სასწავლო სახელმძღვანელოების/ პრაქტიკის შესარჩევად და სათარგმნელად.

2.2.3.დ. სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა უფლებების სარეალიზაციოდ სპეციალურ, დარგობრივ, საკანონმდებლო ნორმატიულ აქტში ცვლილების წინადადებებისა და პროექტებისა მომზადება.

2.2.3.ე. ასოციაციის წევრი უნივერსიტეტებისთვის საჭირობოროტო საკითხების განხილვა საბჭოს სხდომაზე, ასოციაციის საჯარო განხილვაში სამუშაო ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

2.2.3.ვ. სამეცნიერო და აკადემიური პრემიების კონკურსის კრიტერიუმების შემუშავება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

2.2.3.ზ. კონკურსის კრიტერიუმებისა და რეიტინგების მოდელების შემუშავება ბიზნესის სექტორისთვის, რომელიც მხარს უჭერს და რეალურად ახორციელებს აკადემიის იდეას, ქომაგობს სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებას და უნივერსიტეტის იდეით ინსპირირებული მოქმედებს ორგანიზაციის შიგნით თუ გარეგანადა.

2.2.3.თ. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და სასწავლო პროცესის განვითარება;

2.2.3.ი. საერთაშორისო, ადგილობრივი კვლევებისა და განათლების კოოპერაცია, ისევე როგორც, განათლების ყველა ფორმისა და საფეხურების ჰარმონიზაცია;

2.2.3.კ. ტექნოლოგიური ბაზების შექმნის და ტექნოლოგიური განვითარების კვლევა;

2.2.3.ლ. განათლების რეფორმების მიმდინარეობის, რისკების და საფრთხეების ანალიზი;

2.2.3.მ. მოსახლეობასთან დიალოგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

თავი III. საბჭოს საქმიანობის ფორმები

3.1. თავისი მიზნების შესაბამისად საბჭო:

3.1.1. მონაწილეობს ასოციაციის წევრი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი ინიციატივების მომზადებასა და განხილვაში;

3.1.2. ხელს უწყობს ასოციაციის აკადემიური რესურსების გაძლიერებას და საბჭოს საქმიანობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას;

3.1.3 მოქმედებს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან შეთანხმებულად;

3.1.4. ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და დაფინანსებისთვის საჭირო რესურსების მოსაძიებლად;

3.1.5. მონაწილეობს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხილვაში.

3.1.5. თანამშრომლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, სამოქალაქო სექტორთან.

3.2. საჭიროების შემთხვევაში ეწყობა კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოსა და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

თავი IV. საბჭოს შემადგენლობა, სტრუქტურა და მუშაობის წესი

4.1. საბჭოს შემადგენლობაში შედის საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და წევრები.

4.2. საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ნიშნავს ასოციაციის პრეზიდენტი.

4.3. საბჭო თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავებს სამუშაო გეგმას, განსაზღვრავს საქმიანობის პრიორიტეტებს, სამუშაო ჯგუფების სახელწოდებას და შემადგენლობას.

4.4. საბჭო არის სათათბირო ორგანო, მისი წევრები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე და საბჭოში მუშაობისათვის არ იღებენ ფინანსურ ანაზღაურებას.

4.5. საბჭოს წევრების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ასოციაციამ შესაძლოა გასცეს სამეცნიერო პრემია.

4.6. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ასოციაციის მმართველ საბჭოს წევრად ამტკიცებს ასოციაციის კონფერენცია, პრეზიდენტის წარდგინებით.

4.7. საბჭოს თავმჯდომარე:

4.7.1. წარმართავს, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს მუშაობას, ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებებს, დასკვნებს და სხდომის ოქმებს.

4.7.2. უფლებამოსილია სამუშაო გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სფეროში მომუშავე ექსპერტები და სპეციალისტები, შექმნას მიზნობრივი კომისია ან სამუშაო ჯგუფი.

4.7.3. წელიწადში ერთხელ გაწეული საქმიანობის თაობაზე, ანგარიშს წარუდგენს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პრეზიდენტს.

4.8. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარებას, საქმის წარმოებას, ხელს აწერს სხდომის ოქმებს, ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის დავალებებს.

4.9. საბჭოს წევრები:

4.9.1. საბჭოს წევრები იკრიბებიან სხდომებზე და გამოხატავენ თავიანთ შინიშვნებს, წინადადებებს, მოსაზრებებს, წარმოადგენენ რეკომენდაციებს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით, ასრულებენ საბჭოს თავმჯდომარის, (თავმჯდომარის მოადგილის) დავალებებს.

თავი V. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა

5.1. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის ადმინისტრაცია აღმასრულებელი დირექტორის დავალებით.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის ასოციაციის პრეზიდენტის მიერ

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (ბრძანება) ხელმოწერის მომენტიდან;

6.2. თუ ამ დებულების რომელიმე პუნქტი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს სხვა ნაწილების ნამდვილობაზე;

6.3. საბჭოს უფლებამოსილება უწყდება კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პრეზიდენტის ბრძანებით.

6.4. საბჭოს დებულებას ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს და მასში ცვლილებების განხორციელების უფლება აქვს ასოციაციის პრეზიდენტს.

6.5. საბჭოს დებულების გაუქმება ხდება კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის პრეზიდენტის ბრძანებით.

6.6. ამ დებულების და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.